



საკონსტიტუციო სარჩელის კრეზენტაცია

**მონაცემთა ბანკების კოპირების უფლება**

2015 წლის 8 აპრილი  
ლიკა საჯაია

# დავის საგანი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-8<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის  
„ბ“ ქვეპუნქტი:

შსს-ს ოპერატიულ ტექნიკური დეპარტამენტი  
უფლებამოსილია განახორციელოს კავშირგამბულობის  
არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების  
კოპირება და მათი შენახვა 2 წლის ვადით.

## ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც შსს-ს სასამართლოს ნებართვის გარეშე შეუძლია

- ვისთან საუბრობთ
- როდის დაიწყო და რამდენ ხანს გრძელდება კომუნიკაცია
- სად იმყოფებით თქვენ და თქვენი თანამოსაუბრე კომუნიკაციის დროს (ანძების მდებარეობა)
- რომელ საიტებს სტუმრობთ
- ვის ეკონტაქტებით ინტერნეტის მეშვეობით
- სად იმყოფებით იმ დროს, როდესაც ინტერნეტით სარგებლობთ

# უფლების შეზღუდვის ფარგლები

**ზოგადი და ყველას მიმართ უფლების  
შემზღუდავი კანონმდებლობა**

- ლეგიტიმური მიზანი
- პროპორციულობა

# კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, სატელეფონო საუბრის და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინების ხელშეუხებლობა.

## კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

# კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები

საქართველოს კონსტიტუციის **მე-16 მუხლი**,  
რომელიც ადგენს პიროვნების თავისუფალი  
განვითარების უფლებას.

## ქვეყნები, სადაც მონაცემთა შენახვა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი

- ბულგარეთი - 2008 წ.
- რუმინეთი-2009წ.
- გერმანია- 2010 წ.
- ჩეხეთი - 2011 წ.
- კვიპროსი-2011 წ.
- სლოვაკეთი 2014 წ.
- ავსტრია- 2014 წ.



# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილს მიღებულმა  
გადაწყვეტილებამ დაადგინა, რომ დირექტივა  
2006/24 EC არღვევს ადამიანის ძირითად  
უფლებათა ევროპულ ქარტიას (**პირადი  
ცხოვრების უფლებას**) და ამიტომ ბათილად  
გამოაცხადა .

## მონაცემთა უსაფუძვლო შენახვა -ადამიანის უფლების დარღვევა

მონაცემთა სრულიად **უსაფუძვლო შენახვა** ვერ დააკმაყოფილებს პროპორციულობის პრინციპს. ხელშეკრულებით და მონაცემთა შენახვის წესით ნებადართული შენახვა გამართლებულ უნდა იყოს ობიექტური მიზეზებით ( მაგალითად **მძიმე დანაშაულის** გახსნა).

გმადლობთ ყურადღებისთვის!

